USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №14
ნოემბერი, 2020

თბილისი, 2020

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორი:

მარიამ ლაცაბიძე

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ იმპლემენტაცია. მისი დაფარვის არეალია თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია და აჭარა. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

ეუთო/ოდირის მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა გამოაქვეყნა 31 ოქტომბრის არჩევნების წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ ანგარიში.[1] დოკუმენტში მითითებულია, რომ 31 ოქტომბრის არჩევნები კონკურენტულ გარემოში და, ზოგადად, ძირითადი თავისუფლებების დაცვით ჩატარდა. თუმცა, ამომრჩევლის მიმართ ზეწოლა და მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის საზღვრის ბუნდოვანება საარჩევნო პროცესის ზოგიერთი ასპექტის მიმართ საზოგადოების ნდობას ამცირებდა.[2]

ეუთო/ოდირის ანგარიშის მიხედვით, არჩევნები ჩატარდა შეცვლილი სამართლებრივი ჩარჩოს პირობებში, რაც მყარ საფუძველს ქმნიდა დემოკრატიული არჩევნების უზრუნველსაყოფად. თუმცა, არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად დამატებითი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო, რადგან რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი კვლავ შეუსრულებელია.[3]

ანგარიშში ხაზგასმულია მაჟორიტარული ოლქების თანაბრობის პრობლემა.[4] კერძოდ, 30 ახალ მაჟორიტარულ ოლქში ამომრჩევლები არათანაბრად არიან განაწილებულნი, რაც საფრთხეს უქმნის საარჩევნო უფლების სათანადოდ რეალიზაციას.[5]

COVID-19-ის პანდემიის ფონზე საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა პოზიტიურად შეფასდა: ცესკო იცავდა კანონით დადგენილ ვადებს და არჩევნების ტექნიკურ ასპექტებს ეფექტიანად უძღვებოდა.[6] თუმცა, წინა ანგარიშების მსგავსად, ეუთო/ოდირი ახლაც საუბრობს საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრობლემებზე.[7] იმის მიუხედავად, რომ არჩევნები ტექნიკური თვალსაზრისით გამართულად იმართებოდა, მმართველი პარტიის დომინანტური წარმომადგენლობა, განსაკუთრებით ქვედა დონეებზე, უარყოფითად აღიქმებოდა საზოგადოებაში.[8]

ანგარიშის მიხედვით, პრობლემურია წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხი.[9] ეუთოს მისიამ პარტიების რეალურ და დეკლარირებულ ხარჯებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობები

[1] მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 01.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3439J0g, განახლებულია: 11.12.2020.
[2] იქვე, გვ. 1.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 2.
[5] იქვე.
[6] იქვე.
[7] იქვე.
[8] იქვე.
[9] იქვე, გვ. 3

აღმოაჩინა.[10] ამასთან, ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ კვლავ შეზღუდულია აუდიტის სამსახურის შესაძლებლობა, ეფექტიანი ზედამხედველობა განახორციელოს კამპანიის ფინანსებზე.[11]

ეუთო ხაზს უსვამს გამოწვევებს პოლარიზებული მედიაგარემოსა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის კუთხითაც.[12] თუმცა, მათი თქმით, ამ უკანასკნელმა პოზიტიური ცვლილებები განიცადა გენდერული კვოტირების შემოღებით.[13]

ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის მიერ დიდი ხნის წინ შემუშავებული რეკომენდაციები საჩივრების განხილვის, სააპელაციო პროცედურების გამარტივებისა და ამ პროცესის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების შესახებ კვლავ არ შესრულებულა.[14] გამოწვევად რჩება საარჩევნო კომისიების, სასამართლოებისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების მიუკერძოებლად და ეფექტიანად განხილვაც.[15]

ანგარიშში ცალკე თავებად არის გაანალიზებული პოლიტიკური კონტექსტი, საარჩევნო სისტემა და სამართლებრივი ჩარჩო.[16] განხილულია საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა და წინასაარჩევნო გარემოც.[17] დადებითად შეფასდა საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა, რომლითაც ეუთოს რეკომენდაციების ნაწილი შესრულდა.[18] ეუთოს მოხსენების მიხედვით, კამპანიის წარმოებისას, ზოგადად, ფუნდამენტური თავისუფლებები დაცული იყო, თუმცა დაფიქსირდა ისეთი მნიშვნელოვანი დარღვევები, როგორიცაა: ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, ზეწოლა ოპოზიციის წარმომადგენლებსა და საჯარო მოხელეებზე, ოფისების დაზიანება და საარჩევნო მასალების განთავსებაში ხელის შეშლა.[19] ამასთან, ხშირად ბუნდოვანი იყო ზღვარი მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და კარგ პრაქტიკას ეწინააღმდეგებოდა.[20] „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს რამდენიმე ისეთი განცხადება გააკეთეს, რომლებიც ხელს უწყობდა მსგავსი შთაბეჭდილების შექმნას და ხმების მოსყიდვად აღიქმებოდა.[21]

არჩევნების დღეს საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას სისტემატური ან ყოვლისმომცველი დაკვირვება არ განუხორციელებია.[22] მისიის წევრებმა 64 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ 28-ში არსებული საარჩევნო უბნები მოინახულეს. მათი შეფასებით, ხმის მიცემის პროცესი გამჭვირვალე იყო და პროცედურებს, ძირითადად, იცავდნენ.[23] თუმცა, საარჩევნო უბნების მახლობლად პარტიების კოორდინატორების და აქტივისტების ყოფნა შეინიშნებოდა, რაც, სავარაუდოდ, ამომრჩეველთა დაშინებას იწვევდა.[24]

---

[10] იქვე.
[11] იქვე.
[12] იქვე.
[13] იქვე, გვ. 4.
[14] იქვე.
[15] იქვე.
[16] იქვე, გვ. 5-8.
[17] იქვე, გვ. 8-12.
[18] იქვე, გვ. 15.
[19] იქვე, გვ. 16, 18.
[20] იქვე.
[21] იქვე, გვ. 19.
[22] იქვე, გვ. 32.
[23] იქვე.
[24] იქვე.

NDI-ის ანგარიში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ

ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) 2 ნოემბერს 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა.[25] „შედეგების ოქმებში ხარვეზებმა, საარჩევნო უბნებსა ან მის გარეთ შესაძლო დაშინების თაობაზე გავრცელებულმა ინფორმაციამ, შედეგების დაგვიანებულმა გამოქვეყნებამ და წინასაარჩევნოდ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მუდმივმა განცდამ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის შემუშავებული საკანონმდებლო ბაზისა და ადმინისტრაციული პროცედურების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებები გადაფარა“ - ნათქვამია ანგარიშში.[26]

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არჩევნების დღეს ხმის მიცემა, ძირითადად, კანონით დადგენილი წესით მიმდინარეობდა, თუმცა, საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებელთა ჯგუფები, სხვა საკითხებთან ერთად, საარჩევნო ოქმებში არსებულ უზუსტობებსა და ხმის მიცემის ფარულობის დარღვევებზე საუბრობდნენ.[27] არჩევნების დღეს დაფიქსირდა „ფიზიკური დაპირისპირების, ჟურნალისტებისა და დამკვირვებლებისთვის მუშაობაში ხელის შეშლის ფაქტები, ამომრჩეველთა მოსყიდვის, ხმების გაყალბების სავარაუდო შემთხვევები, ასევე, საარჩევნო უბნების უმეტესობის გარეთ პარტიული კოორდინატორების ყოფნა, რაც დამაშინებელ გარემოს ქმნიდა.“[28]

NDI-ის დასკვნის მიხედვით, საკანონმდებლო ჩარჩომ არჩევნებისთვის მყარი საფუძველი შექმნა და 2020 წლის ივნისში გატარებული საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმები პოზიტიურად შეფასდა.[29] საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა, ზოგადად, კომპეტენტური, კანონთან შესაბამისი და გამჭვირვალე იყო. თუმცა, ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მუდმივი კრიტიკის საგანი გახდა პარტიული ნიშნით მიკერძოებულობა, განსაკუთრებით, ქვედა დონის კომისიებში.[30]

NDI-ის შეფასებით, საარჩევნო კამპანია ღია და პლურალისტური იყო, თუმცა, არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად, იმატა დაძაბულობამ და თავდასხმების შემთხვევებმა.[31] ანგარიშში საუბარია კამპანიის პერიოდში ძალადობისა და დაშინების ფაქტებზე,[32] ასევე, სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენებასა და ამომრჩევლის მოსყიდვაზე.[33]

ანგარიშის თანახმად, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა პოლიტიკაში მეტი ინკლუზიურობისა და მრავალფეროვნების მისაღწევად.[34] ამ კუთხით, ხაზგასმულია სავალდებულო გენდერული კვოტის შემოღება.[35] თუმცა, ორგანიზაციის აზრით, ამ პროგრესის მიუხედავად, მოწყვლადი ჯგუფები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი როგორც ახალ პარლამენტში, ისე პარტიულ ორგანიზაციებსა და მათ პლატფორმებში.[36]

---

[25] ანალიზი ეყრდნობა საქართველოს მთავრობის, პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო ადმინისტრაციის, სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური საზოგადოების წარმომადგენლებთან 22-31 ოქტომბერს გამართულ ჩაღრმავებულ ინტერვიუებს და ითვალისწინებს NDI-ის საქართველოში საქმიანობის 25 წლის მანძილზე დაგროვებულ გამოცდილებას.

[26] ანგარიში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), 02.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oIVLbT, განახლებულია: 11.12.2020.

[27] იქვე, გვ. 2.

[28] იქვე.

[29] იქვე.

[30] იქვე.

[31] იქვე.

[32] იქვე.

[33] იქვე.

[34] იქვე, გვ. 3.

[35] იქვე.

[36] იქვე.

ანგარიშში ცალკე თავები ეთმობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: პოლიტიკური კონტექსტი, კენჭისყრის დღის პროცედურები, საარჩევნო სისტემა და ადმინისტრაცია, წინასაარჩევნო კამპანია, გენდერი, ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების ჩართულობა და სხვა.[37]

NDI-ის ანგარიშში მოცემულია 35 რეკომენდაცია,[38] რომლებიც მიემართება საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებს და, ზოგად საკითხებთან ერთად, მიზნად ისახავს მეორე ტურის წინ გარემოს გაუმჯობესებას.[39] მისია მოუწოდებს ადრესატებს, მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ საჩივრების სწრაფად განსახილველად და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის უბნებზე ხმების ხელახლა გადასათვლელად.[40] ორგანიზაციის აზრით, ასევე მნიშვნელოვანია, პარტიებმა და კანდიდატებმა წარმოადგინონ მტკიცებულებები საარჩევნო დარღვევებზე და მათ აღმოსაფხვრელად გამოიყენონ შესაბამისი ბერკეტები.[41]

IRI-ის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შუალედური ანგარიში

საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა (IRI) 16 ნოემბერს არჩევნების ტექნიკური შეფასების საერთაშორისო მისიის შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა.[42] IRI-ის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები მშვიდობიან გარემოში, კანონმდებლობის დაცვით ჩატარდა, წინასაარჩევნო პერიოდსა და კენჭისყრის დღეს დაფიქსირებულმა დარღვევებმა ეჭვქვეშ დააყენა საარჩევნო პროცესის მიმართ ნდობა.[43] „იმ რეფორმების მიზანი და სულისკვეთება, რომლებიც მიმართული იყო მრავალპარტიული დემოკრატიისა და კოალიციური მმართველობის მხარდაჭერისკენ, დააზიანა კამპანიის პერიოდში და არჩევნების დღეს მომხდარმა დარღვევებმა, რომლებიც სანდო ცნობებშია აღწერილი“ - ნათქვამია ანგარიშში.[44] ორგანიზაციის შეფასებით, გამოვლენილი დარღვევებიდან განსაკუთრებით შემაშფოთებელია ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, ამომრჩევლის მოსყიდვა, ამომრჩევლებსა და დამკვირვებლებზე ზეწოლა, საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებული მანიპულაციები.[45]

ორგანიზაციის ანგარიშში განხილულია წინასაარჩევნო პერიოდი, მათ შორის, საარჩევნო სისტემა, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა, წინასაარჩევნო კამპანია და დაფინანსება, ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების ჩართულობა, მედიაგარემო.[46]

ანგარიშის მიხედვით, წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა დადებითაც ფასდება როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ, თუმცა ცესკოს მიმართ საზოგადოების ნდობა მაინც დაბალია.[47] ამასთან, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების ნაწილმა გამოთქვა ეჭვი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა მიუკერძოებლობასა და ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით.[48]

IRI-ისთვის ცნობილი გახდა ისეთი დარღვევების შესახებ, როგორიცაა თავდასხმა აქტივისტებზე, კამპანიისთვის განკუთვნილი ნივთების/ქონების დაზიანება და სხვა პროვოკაციული ქმედებები

[37] იქვე, გვ. 3-24.
[38] იქვე, გვ. 7, 8, 14, 15, 19, 24, 28.
[39] იქვე, გვ. 7.
[40] იქვე.
[41] იქვე.
[42] არჩევნების ტექნიკური შეფასების საერთაშორისო მისია: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შუალედური ანგარიში, International Republican Institute, 16.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3795FOg, განახლებულია: 11.12.2020.
[43] იქვე, გვ. 3.
[44] იქვე.
[45] იქვე.
[46] იქვე, გვ. 6-10.
[47] იქვე, გვ. 6.
[48] იქვე.

(მაგალითად, ე.წ. „ათლეტების“ რეკრუტირება ამომრჩევლის დასაშინებლად),[49] ასევე, ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევები, სამუშაო საათების დროს საარჩევნო კამპანიაში საჯარო მოხელეების ჩართვის პრეცედენტები, სოციალური დახმარებით მანიპულირების და ადგილობრივი ძალოვანი უწყებების მხრიდან დაშინების ფაქტები.[50]

IRI-ის შეფასებით, 31 ოქტომბრის არჩევნები კონკურენტულ გარემოში და, ზოგადად, ძირითადი კონსტიტუციური უფლებების დაცვით ჩატარდა.[51] ცესკო მოქმედებდა კანონის ფარგლებში და იყო ეფექტიანი ტექნიკური და ადმინისტრაციული თვალსაზრისით.[52] თუმცა, ეს არ ეხება შედეგების შეჯამებას.[53]

ანგარიშში ნათქვამია, რომ დაფიქსირდა სერიოზული პროცედურული ხარვეზები, როგორიცაა: მარკირების, ასევე, ხმის ფარულობის წესების დარღვევა (კერძოდ, ამომრჩევლისთვის საარჩევნო ჯიხურთან ფოტოს გადაღების ფაქტები), საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა უფლებამოსილებების ბუნდოვანება, კოვიდ-19-ის რეგულაციების სუსტი დაცვა და შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებული მანიპულაციები.[54]

საერთაშორისო მხარდაჭერისა და საარჩევნო პროცესების შემდგომი გაუმჯობესების ხელშეწყობის ფარგლებში, IRI საქართველოს მთავრობას, პოლიტიკურ პარტიებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიის წარმომადგენლებს კონკრეტული რეკომენდაციებით მიმართავს.[55] არსებული პოლიტიკური კრიზისის მშვიდობიანი გადაწყვეტის მიზნით, ის მხარეებს მოუწოდებს, აირჩიონ კონსტრუქციული დიალოგის გზა, უარი თქვან მწვავე რიტორიკის გამოყენებაზე და საკუთარ მხარდამჭერებსაც ურჩიონ, თავი შეიკავონ ძალადობის, პროვოკაციებისა და ზეწოლისგან.[56] რეკომენდაციები ასევე შეეხება საჩივრების დროულად და მიუკერძოებლად განხილვას, ამომრჩევლებზე ზეწოლისა და ძალადობის ფაქტებზე რეაგირებას და მეორე ტურისთვის არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.[57]

2020 წლის არჩევნების შემდგომ განვითარებული მოვლენები

<u>ოპოზიციის ბოიკოტი</u>

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ოფიციალური შედეგების მიხედვით, „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 48,22% მიიღო, ხოლო ოპოზიციიდან ყველაზე მეტი ხმა დააგროვა ბლოკმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ - 27,18%.[58] 1%-იანი ბარიერი სულ 8 ოპოზიციურმა პარტიამ გადალახა.[59]

3 ნოემბერს ოპოზიციურმა პარტიებმა[60] ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმად, ისინი

[49] იქვე, გვ. 7.
[50] იქვე.
[51] იქვე.
[52] იქვე.
[53] იქვე.
[54] იქვე, გვ. 13.
[55] იქვე, გვ. 4.
[56] იქვე.
[57] იქვე.
[58] 2020 წლის არჩევნების წინასწარი შედეგები, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2KeDrs8, განახლებულია: 11.12.2020.
[59] იქვე.
[60] ხელმომწერი პარტიები: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია, ევროპული საქართველო, სტრატეგია აღმაშენებელი, ლელო საქართველოსთვის, გირჩი, საქართველოს ლეიბორისტული პარტია, რესპუბლიკური პარტია, სახელმწიფო ხალხისთვის, ევროპელი დემოკრატები, თავისუფალი დემოკრატები, ერთიანი საქართველო, პარტია თავისუფლება, ტრიბუნა, გამარჯვებული საქართველო, პარტია სამართლიანობისთვის, პარტია კანონი და სამართალი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა.

უარს ამბობენ საპარლამენტო მანდატებზე.[61] მათი თქმით, არჩევნები ამომრჩეველზე ძალადობის, დაშინების, მასშტაბური მოსყიდვის ფონზე ჩატარდა და შედეგები არ ასახავს ამომრჩევლის ნებას.[62] ოპოზიცია ბოიკოტის რეჟიმშია გადასული და მათი ძირითადი მოთხოვნებია: ხელახალი არჩევნების დანიშვნა, ცესკოს თავმჯდომარის გადადგომა და პოლიტპატიმრების გათავისუფლება.

ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის არჩევნების შედეგებზე შეუთანხმებლობის გამო ქვეყანა მწვავე კრიზისში შევიდა. ამ კრიზისის განმუხტვის მიზნით, ფასილიტატორი ელჩების შუამავლობით, მხარეებს შორის მოლაპარაკებები დაიწყო. პირველი რაუნდი 2020 წლის 12 ნოემბერს გაიმართა.[63] იმ პოლიტიკური პარტიების ლიდერები, რომლებმაც 1%-იანი ბარიერი გადალახეს, საქართველოში აშშ-ის ელჩის საცხოვრებელ სახლში შეიკრიბნენ და არგუმენტები გაცვალეს.[64] პოლიტიკურ დიალოგს ესწრებოდა და ფასილიტაციას უწევდა ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი.[65] პირველი შეხვედრა, დაახლოებით, ოთხ საათს გაგრძელდა.[66] მმართველ პარტიას არჩილ თალაკვაძე წარმოადგენდა, რომელმაც შეხვედრის დასრულების შემდგომ განაცხადა, რომ „ეს იყო პოლიტიკური კონსულტაციების პოზიტიური დასაწყისი“.[67] „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარის დავით ბაქრაძის თქმით, იმ ფონზე, რომ ქვეყანაში არის პოლიტიკური კრიზისი, „პასუხისმგებლიანი“ პოლიტიკური ძალები კომპრომისის მოძებნას უნდა შეეცადონ.[68] ოპოზიციური პარტიების ერთსულოვნებას გაუსვეს ხაზი „სტრატეგია აღმაშენებლის“, „გირჩისა“ და „მოქალაქეების“ ლიდერებმა გიორგი ვაშაძემ, ზურაბ ჯაფარიძემ და ალეკო ელისაშვილმა.[69] მათივე თქმით, ოპოზიციის ყველა მოთხოვნა და დაგეგმილი საპროტესტო აქციები კვლავ ძალაში რჩება.[70] შეხვედრას ესწრებოდა გრიგოლ ვაშაძეც, რომლის მიერ ორი დღით ადრე გაკეთებულ განცხადებას პოლიტიკური პროცესების მოლაპარაკების მაგიდასთან გადატანის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა.[71]

ორი დღის შემდგომ, 14 ნოემბერს, საქართველოში ევროკავშირისა და აშშ-ის ელჩების შუამავლობით, ამ უკანასკნელის რეზიდენციაში გაიმართა მოლაპარაკების მეორე რაუნდი.[72] ოპოზიციური პარტიების ლიდერების თქმით, ხელახალი არჩევნების დანიშვნა მათი მთავარი მოთხოვნა იყო.[73]

20 ნოემბერს რვა ოპოზიციური პარტიის ლიდერები, რომლებმაც 31 ოქტომბრის არჩევნებში 1%-იანი ბარიერი გადალახეს, ასევე, „ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, მმართველ გუნდთან მოლაპარაკების მორიგი რაუნდის წინ, აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩებს კელი დეგნანსა და კარლ ჰარცელს ინდივიდუალურად შეხვდნენ.[74] ოპოზიციის განმარტებით, ინდივიდუალური შეხვედრების მიზანი მესამე რაუნდისთვის მომზადება იყო.[75]

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ გრიგოლ ვაშაძემ შეხვედრიდან გამოსვლის შემდეგ განაცხადა, რომ ელჩებთან ხელახალი არჩევნების დანიშვნის, ცესკოს თავმჯდომარის გადადგომისა და „პოლიტპატიმრების“ გათავისუფლების შესახებ ოპოზიციის მოთხოვნები კიდევ

---

[61] „ოპოზიციამ შეთანხმებას ხელი მოაწერა, მათ მანდატებზე უარი თქვეს“, საინფორმაციო პორტალი „on.ge”, 03.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/344LpLt, განახლებულია: 11.12.2020.

[62] იქვე.

[63] „ოპოზიციასა და მმართველ გუნდს შორის პოლიტიკური დიალოგი დაიწყო“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nq99RT, განახლებულია: 17.12.2020.

[64] იქვე.

[65] იქვე.

[66] იქვე.

[67] იქვე.

[68] იქვე.

[69] იქვე.

[70] იქვე.

[71] იქვე.

[72] „ოპოზიციასა და მმართველ გუნდს შორის მოლაპარაკების მეორე რაუნდი გაიმართა“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2KAY8P5, განახლებულია: 17.12.2020.

[73] იქვე.

[74] „არქივი: 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2KBowss, განახლებულია: 17.12.2020.

[75] იქვე.

ერთხელ გაიმეორა.[76] „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ ხაზი გაუსვა, რომ შექმნილი ვითარების „გადაწყვეტის მექანიზმი“ „ქართული ოცნების“ ხელშია და არა - ოპოზიციის.[77]

25 ნოემბერს ოპოზიციური პარტიის ლიდერები კელი დეგნანსა და კარლ ჰარცელს ინდივიდუალურად კიდევ ერთხელ შეხვდნენ.[78]

მოლაპარაკების რამდენიმე რაუნდის მიუხედავად, მხარეები შეთანხმებამდე ვერ მივიდნენ. დაგეგმილია მესამე რაუნდი.

<u>საერთაშორისო საზოგადოების შეფასება</u>

ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის პრესსპიკერმა განცხადება გაავრცელა საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით.[79] პრესსპიკერი ეუთო/ოდირის, ევროპის საბჭოს და ნატოს საპარლამენტო ასამბლეათა საერთაშორისო დამკვირვებლების წინასწარ მიგნებებსა და დასკვნებზე დაყრდნობით აცხადებდა, რომ არჩევნები კონკურენტულ გარემოში ჩატარდა და, საერთო ჯამში, ფუნდამენტური თავისუფლებები დაცული იყო.[80] თუმცა, მასზე გავლენა მოახდინა ბრალდებებმა ამომრჩევლებზე ზეწოლის შესახებ.[81] ასევე, მთელი წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში და კენჭისყრის დღეს მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის ზღვრის ბუნდოვანებამ პროცესის ზოგიერთი ასპექტის მიმართ საზოგადოების ნდობა შეამცირა.[82]

31 ოქტომბრის არჩევნებს გამოეხმაურა **აშშ-ის საელჩო საქართველოში** და მიესალმა ქართველი ხალხის მიერ დემოკრატიისადმი გამოვლენილ ერთგულებას, COVID-19-ის პანდემიის დროსაც კი.[83] აშშ-ის საელჩო იზიარებს ეუთო/ოდირის პირველად შეფასებას.[84] განცხადებაში ასევე საუბარია, რომ საარჩევნო პროცესის ხელყოფის მცდელობები, როგორიცაა ამომრჩევლის დაშინება, მოსყიდვა, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, პარტიული და ოფიციალური საქმიანობის არამკვეთრი გამიჯვნა, საარჩევნო დამკვირვებლებსა და ჟურნალისტებზე ძალადობა, მიუხედავად იმისა, რომ შედეგების არალეგიტიმურად ცნობისთვის არ არის საკმარისი, განაგრძობს საქართველოს საარჩევნო პროცესის დაზიანებას.[85] ამასთან, აშშ-ის საელჩო მოუწოდებს მომდევნო მოწვევის პარლამენტს, გაატაროს დამატებითი რეფორმები იმ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რომლებზეც საუბარია ოდირის საარჩევნო შეფასებებში.[86]

საპარლამენტო არჩევნებს განცხადებით გამოეხმაურნენ **ევროპარლამენტის დეპუტატები** და საქართველოს, როგორც ევროკავშირის მთავარ პარტნიორს, მისი წარმატებით ჩატარება მიულოცეს.[87] განცხადებაში საუბარია, რომ არჩევნები, მთლიანობაში, იყო კონკურენტული, ხოლო ძირითადი უფლებები - დაცული.[88] თუმცა, მათი თქმით, გამოწვევას წარმოადგენდა ამომრჩეველზე ზეწოლის შემთხვევები, ასევე, მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის წაშლილი ზღვარი

---

[76] იქვე.
[77] იქვე.
[78] იქვე.
[79] „ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის პრესსპიკერის განცხადება საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შესახებ“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, 01.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/340COJH, განახლებულია: 11.12.2020.
[80] იქვე.
[81] იქვე.
[82] იქვე.
[83] „აშშ-ის საელჩოს განცხადება საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით“, აშშ-ის საელჩო საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 01.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37YdTIe, განახლებულია: 11.12.2020.
[84] იქვე.
[85] იქვე.
[86] იქვე.
[87] “Joint statement by leading MEPs on EU-Georgia relations on the first round of the parliamentary elections held on 31 October in Georgia“, 01.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oK6P8v, განახლებულია: 11.12.2020.
[88] იქვე.

როგორც წინასაარჩევნოდ, ისე არჩევნების დღეს.[89] პრობლემურ საკითხებს შორის, საუბარია საარჩევნო კამპანიის დაფინანსებაზეც.[90] როგორც ევროპარლამენტარები მიუთითებენ, საჭიროა წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების რეგულაციების ეუთო/ოდირის რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანა.[91] მათივე თქმით, დასაფასებელია თვითიზოლაციასა და კარანტინში მყოფი პირებისთვის ხმის მიცემის უფლების უზრუნველყოფა, რაც იყო კომპრომისული გამოსავალი დემოკრატიისა და ჯანმრთელობის დაცვას შორის.[92]

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) სადამკვირვებლო ჯგუფის ხელმძღვანელ **ტინი კოქსის** შეფასებით, არჩევნების დღესვე შედეგების ეჭვქვეშ დაყენება და აქციებისკენ მოწოდება განვითარებული დემოკრატიებისთვის დამახასიათებელი არ არის.[93] კოქსის თქმით, ეს საპარლამენტო არჩევნები, ზოგადად, თავისუფალ გარემოში ჩატარდა, თუმცა არჩევნების სამართლიანობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს კამპანიის დაფინანსების წესი, რომელიც არ არის სათანადოდ რეგულირებული[94] და საკმარისად გამჭვირვალე, ხოლო დაფინანსების თანხა შეუზღუდავია.[95] მან პარლამენტს მოუწოდა, რაც შეიძლება მალე შეიკრიბოს.[96]

ევროპარლამენტის წევრმა ვიოლა ფონ კრამონმა განაცხადა, რომ „არჩევნები კონკურენტულ და, ზოგადად, თავისუფალ გარემოში მიმდინარეობდა“, თუმცა „სამწუხარო იყო ამომრჩეველზე ზეწოლის შემთხვევების ნახვა“.[97] საქართველოს არჩევნების ჩატარება მიულოცა **ევროპარლამენტის წევრმა** და ესტონეთის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ურმას პაეტმაც, თუმცა, მისი აზრით, დაფიქსირდა გარკვეული ხარვეზები, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას.[98]

გერმანიის ელჩმა საქართველოში ჰუბერტ ქნირშმა განაცხადა, რომ საერთაშორისო პარტნიორები ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დიალოგს ხელს შეუწყობენ.[99] მისი თქმით, მოხარულია, რომ ახლა ორივე მხარის წამყვანი პოლიტიკოსები პარტიებს შორის დიალოგის ინიციატივით გამოდიან.[100]

ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი დადებითად აფასებს განცხადებებს პოლიტიკურ მხარეებს შორის დიალოგის აუცილებლობის შესახებ და მხარდაჭერის მზაობას გამოთქვამს. „მივესალმებით პოლიტიკური ლიდერებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ბოლოდროინდელ მოწოდებებს დიალოგისკენ, რათა გადაიჭრას არსებული გამოუვალი ვითარება და გამყარდეს დემოკრატიული დღის წესრიგი” - დაწერა ჰარცელმა ტვიტერზე.[101]

ევროპარლამენტარები ანდრიუს კუბილიუსი, რასა იუკნევიჩიენჩი და ლიეტუვის პარლამენტის წევრი ზიგიმანტას პავილიონისი საქართველოში 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ განვითარებულ

---

[89] იქვე.
[90] იქვე.
[91] იქვე.
[92] იქვე.
[93] „არჩევნების დღესვე აქციებისკენ მოწოდება ამომრჩევლის პატივისცემის ნიშანი არაა – კოქსი“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 01.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3m6Wke3, განახლებულია: 11.12.2020.
[94] „მოვუწოდებთ პარლამენტს, რაც შეიძლება მალე შეიკრიბონ – PACE“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 01.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2KgOr8g, განახლებულია: 11.12.2020.
[95] იქვე.
[96] იქვე.
[97] „ვიოლა ფონ კრამონი: „უთანასწორო წვდომა ადმინისტრაციულ და ფინანსურ რესურსებზე დემოკრატიას ძირს უთხრის“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 01.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qMkLAH, განახლებულია: 11.12.2020.
[98] „ურმას პაეტი არჩევნებზე: „გარკვეული ხარვეზები უნდა იყოს აღმოფხვრილი“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 01.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/375VaLp, განახლებულია: 11.12.2020.
[99] „მოხარული ვარ, რომ ორივე მხარის წამყვანი პოლიტიკოსები დიალოგის ინიციატივით გამოდიან – ქნირში“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 10.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Lh4QKu, განახლებულია: 11.12.2020.
[100] იქვე.
[101] „მივესალმებით ბოლოდროინდელ მოწოდებებს დიალოგისკენ – ჰარცელი“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 10.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oGow9b, განახლებულია: 11.12.2020.

მოვლენებს გამოეხმაურნენ და განაცხადეს, რომ ქვეყანაში „შემაშფოთებელი" ვითარებაა.[102] ევროპარლამენტარი, ლიტვის ყოფილი პრემიერმინისტრი ანდრიუს კუბილიუსი „ფორმულასთან" ინტერვიუში ამბობდა, რომ საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შედეგების 4%-იანი ცდომილება სერიოზულ ეჭვებს იწვევს და რეალურ შედეგებზე კითხვებს აჩენს.[103]

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა **ევროპარლამენტში სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობების დელეგაციის თავმჯდომარე** მარინა კალიურანდი. მან ოპოზიციას მეორე ტურებში მონაწილეობისა და პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდა.[104] კალიურანდის თქმით, ცესკოსთვის წარდგენილი ყველა დასაბუთებული საჩივარი უმაღლესი დემოკრატიული სტანდარტების დაცვითა და კანონმდებლობასთან შესაბამისობით უნდა განიხილონ.[105] „მე მტკიცედ მჯერა, რომ მიზანმიმართული მცდელობა, შეაფერხოს დემოკრატიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინსტიტუციის გამართული მუშაობა, სავალალოა. მოვუწოდებ ყველა პარტიასა და კანდიდატს, მონაწილეობა მიიღონ არჩევნების მეორე ტურში, არ თქვან უარი კუთვნილ მანდატებზე და ამით პატივი სცენ საქართველოს მოქალაქეების მიერ დემოკრატიული გზით გამოხატულ ნებას" - ნათქვამია კალიურანდის განცხადებაში.[106]

<u>აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ბრიფინგი</u>

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა პირებმა, აშშ-ის მდივნის მაიკ პომპეოს საქართველოში ვიზიტის პარალელურად, პრესკონფერენცია გამართეს და საქართველოს შესახებ ისაუბრეს.[107]

„ეუთომ და სხვა ორგანიზაციებმა არჩევნები შეაფასეს, როგორც კონკურენტული. წინა წლებთან შედარებით, რამდენიმე მიმართულებით შეინიშნებოდა გაუმჯობესებაც - ნაკლებად გამოიყენებოდა სიძულვილის ენა და შემცირებული იყო ძალადობრივი, აგრესიული თავდასხმის შემთხვევები წინასაარჩევნო პერიოდში. ამან, მთლიანობაში, უზრუნველყო ძირითადი თავისუფლებების დაცვა, თუმცა დაფიქსირდა ისეთი მნიშვნელოვანი დარღვევები, როგორიცაა ამომრჩევლის მოსყიდვა და დაშინება, რაც, სამწუხაროდ, უკვე 30 წელია, აზიანებს საქართველოს არჩევნებს" - განაცხადეს ბრიფინგზე.[108]

მათი თქმით, სამწუხაროდ, არსებულ სასამართლო სისტემას და საარჩევნო ადმინისტრაციას ნდობა არ აქვს.[109] ეს არის ის ინსტიტუტები, რომლებიც განვითარების პროცესშია.[110] ოპოზიციამ, მართალია, დარღვევები გაასაჩივრა, თუმცა, ვინაიდან მათი სათანადოდ განხილვის მოლოდინი არ ჰქონდა, კენჭისყრის მეორე დღესვე ხელახალი არჩევნების ჩატარება მოითხოვა.[111]

---

[102] „მმართველმა პარტიამ დაუყოვნებლივ უნდა შეძლოს ოპოზიციასთან დიალოგი – ევროპარლამენტარები", საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი", 10.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39U919w, განახლებულია: 11.12.2020.

[103] „კუბილიუსი: 4%-იანი ცდომილება არჩევნების რეალურ შედეგებზე კითხვის ნიშნებს სვამს, 12 ნოემბერი, 2020 - 23:22", საინფორმაციო პორტალი „ტაბულა", 12.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37THFO5, განახლებულია: 11.12.2020.

[104] „მარინა კალიურანდი: ღრმად მწამს, რომ ოპოზიციის მიზანმიმართული მცდელობა, შეფერხდეს ინსტიტუტების გამართული მუშაობა, წარუმატებელია. მოვუწოდებ მათ, აიღონ თავიანთი მანდატები პარლამენტში", საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „პირველი არხი", 18.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37ix5kO, განახლებულია: 11.12.2020.

[105] იქვე.

[106] იქვე.

[107] „აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი - თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო პროცესი კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოში დემოკრატიის განმტკიცებისთვის", საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი", 14.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39Yuxdf, განახლებულია: 11.12.2020.

[108] Senior State Department Officials Briefing to Traveling Press, 18.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qQdmjQ, განახლებულია: 11.12.2020.

[109] იქვე.

[110] იქვე.

[111] იქვე.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები ოპოზიციას მოუწოდებენ, უარი თქვან ბოიკოტზე, მუშაობა პარლამენტში გააგრძელონ და სამართლებრივ გზებს მიმართონ. „ჩვენ მოვუწოდებთ, შევიდნენ პარლამენტში, მიიღონ საარჩევნო ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც შემდეგი არჩევნები უკეთესი იქნება. ეს არის ის, რის მიღწევასაც ვცდილობთ და რასაც მხარს ვუჭერთ - ერთ მაგიდასთან დასხდნენ და იპოვონ გამოსავალი, ერთად იმუშაონ, მათ და არა ჩვენ, რადგან პარლამენტში მოუწევთ ერთად მუშაობა“.[112]

ბრიფინგზე ხაზი გაუსვეს სასამართლო რეფორმის მნიშვნელობას.[113] „სახელმწიფო მდივნის სამოქალაქო სექტორთან შეხვედრის მიზეზი იყო სასამართლო რეფორმა, ვინაიდან დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობის პირობებში საარჩევნო დავები სწორედ ამგვარი სამართლებრივი გზით გადაწყდებოდა და ხალხს შედეგებისადმი ნდობა ექნებოდა“ - განაცხადეს სახელმწიფო დეპარტამენტში.[114]

23 ნოემბერს **ევროპარლამენტარები**[115] კვლავ გამოეხმაურნენ პროცესს და პოლიტიკოსებს პასუხისმგებლობის გამოჩენისა და დემოკრატიული არჩევანის პატივისცემისკენ მოუწოდეს.[116] როგორც წერილშია აღნიშნული, ისინი იზიარებენ ეუთო/ოდირის, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, NATO-ს საპარლამენტო ასამბლეისა და დიპლომატიური სამსახურის შეფასებას პირველ ტურთან დაკავშირებით.[117] ამასთან, მეორე ტურის შემდეგ ისინი ყველა საფუძვლიანი საჩივრის სამართლიან, გამჭვირვალე და დეტალურ განხილვას ელიან.[118] მათ წუხილი გამოთქვეს, რომ მეორე ტურში ოპოზიციის წევრებმა მონაწილეობა არ მიიღეს.[119]

ეუთოში ნორვეგიის მუდმივი წარმომადგენელი ენნ-კირსტი კარლსენი საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს დადებითად აფასებს და წუხილს გამოთქვამს ოპოზიციის ბოიკოტზე.[120] „საქართველოს სჭირდება ქმედუნარიანი პარლამენტი და, რაც მთავარია, მოქმედი საპარლამენტო ოპოზიცია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ქვეყანა სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას პანდემიის გამო“ - ნათქვამია მის განცხადებაში.[121]

---

[112] იქვე.
[113] იქვე.
[114] იქვე.
[115] წერილს ხელს აწერენ ევროპარლამენტის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე დევიდ მაკალისტერი, სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობის დელეგაციის თავმჯდომარე მარინა კალიურანდი, საქართველოს საკითხების მომხსენებელი სვენ მიქსერი და ევროპარლამენტში საქართველოში დემოკრატიული აქტივობის წამყვანი მხარდამჭერი ვიოლა ფონ კრამონი.
[116] „მოვუწოდებთ პოლიტიკოსებს, გამოიჩინონ პასუხისმგებლობა და პატივი სცენ დემოკრატიულ არჩევანს – ევროპარლამენტარები“, საინფორმაციო პორტალი „on.ge”, 23.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qMVuqh, განახლებულია: 11.12.2020.
[117] იქვე.
[118] იქვე.
[119] იქვე.
[120] „ეუთოში ნორვეგიის მუდმივი წარმომადგენელი - საქართველოს სჭირდება ქმედუნარიანი პარლამენტი და, რაც მთავარია, მოქმედი საპარლამენტო ოპოზიცია“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი”, 29.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mfYp7y, განახლებულია: 11.12.2020.
[121] იქვე.

არჩევნების შედეგების გამოცხადებასთან ერთად დაიწყო საპროტესტო აქციების ტალღა.[122] ოპოზიცია მთელი თვის განმავლობაში მართავდა აქციებს თბილისსა და რეგიონებში.[123] სამწუხაროდ, ზოგ შემთხვევაში ეს შეკრებები სამართალდამცველებსა და აქციის მონაწილეებს შორის დაპირისპირებაში გადაიზარდა, რასაც ოპოზიციური პარტიების წევრებისა და აქტივისტების დაკავება მოჰყვა. ამან ისედაც კრიზისული ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა.[124]

ხელისუფლების აგრესიული ქმედებები განსაკუთრებით პრობლემური იყო ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან გამართულ 8 ნოემბრის აქციაზე, რა დროსაც ხელისუფლებამ, წინასწარ გაფრთხილების გარეშე, სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაშალა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია, რითაც უხეშად ჩაერია შეკრების თავისუფლებაში.[125]

აჭარის მთავრობის სახლის წინ ამ დრომდე, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს საპროტესტო აქციები. შენობის წინ ქუჩა გადაკეტილია, გაშლილია კარვები. შენობასთან მობილიზებულნი არიან სამართალდამცველები. გასულ დღეებში რამდენიმე ადამიანი დააკავეს ადმინისტრაციული წესით.[126]

[122] იხ. ლაცაბიძე მ. და სხვები, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის IV შუალედური ანგარიში, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, გვ. 10-14, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3p2vm9l, განახლებულია: 11.12.2020.

[123] იქვე.

[124] იქვე.

[125] „8 ნოემბრის აქციაზე გამოყენებული საპოლიციო ძალა უკანონო და არაპროპორციული იყო“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 10.11.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nKnvfV, განახლებულია: 11.12.2020.

[126] „რიჟვაძისთვის ბუშტების გაგზავნის შემდეგ აქციის მონაწილე დააკავეს“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2KkRzjS, განახლებულია: 11.12.2020.